

განმარტებითი ბარათი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის შესახებ საქართველოს კანონების პროექტების მომზადება განპირობებულია ახლად ამოქმედებულ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონთან და „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე ცალკეული ტექნიკური უზუსტობების დასახეწვად.

წარმოდგენილია სამ საკანონმდებლო აქტში ცვლილება-დამატებათა შეგანის თაობაზე საკანონმდებლო პაკეტი, ვინაიდან შემოაღნიშნულ საკანონმდებლო აქტებში შეგანილმა ცვლილებებმა და დამატებებმა თავიდან ვერ აგვაყილა თვით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებიც.

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი:

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებულია ლიცენზიისა და ნებართვის ჩამორთმევის საფუძვლად განსაზღვრული შემდეგი პირობა: „ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის გარდაცვალება (ლიცენზიისა), დადგენილი წესით გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან ქმედუნაროდ ცნობა, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა“, აგრეთვე დამსკვებულია ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია – ამოწურვადი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიად.

2. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონები:

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-3, მე-4, მე-10, მე-11, მე-15, მე-16, მე-18, მე-19, მე-20, მე-21, მე-22 პუნქტებით „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი შესაბამისობაში მოვიდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონთან.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი და მე-2 პუნქტით, აგრეთვე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს საბიუჯეტო შემოსავლების გაუზარდავი ნაწილის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის შესაძლებლობა.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-5, მე-12, მე-13, მე-22 და 23-ე პუნქტებში, აგრეთვე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებში გასწორებულია ტექნიკური უზუსტობები და რელაქციული შეცდომები.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-14 და მე-17 პუნქტებში მარტივდება ნუმერაციის მინიჭების მექანიზმი და ვადები, აგრეთვე ლიცენზიის პირდაპირი გადაპირების წესი, უქმდება კომისიის უფლებამოსილება მისცეს თანხმობა პირს პირდაპირი გადაპირების თაობაზე ხელშეკრულების გასაფორმებლად, ამასთან, დგინდება რადიოსიხშირული სექტორით

ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მფლობელი, მასთან ურთიერთდამოკიდებულ პირებთან ერთად, ხდება რადიოსიხშირული სექტორიდან კომისიის მიერ დანაწილებული კონკრეტული შოლის 50 პროცენტზე მეტის მფლობელი, რათა რეალურად შეშვირდეს მონოპოლიურ ძალაუფლების მქონე ლიცენზირებული სუბიექტების შექმნის ალბათობა კონკურენტუნარიან ბაზარზე.

მნიშვნელოვანია ამავე კანონპროექტის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებებიც, რომელშიც შევხება საკომუნიკაციო სექტორში ჩადენილ არაკანონიერ ქმედებათა თავიდან აცილებასა და კანონდამრღვევი არააეგორიზებული პირების პასუხისმგებლობას. კერძოდ, მხედველობაშია ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი და სპეციალური ქსელებით საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა, აგრეთვე, მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სექტორით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობა, რაც იკრძალება და ისჯება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონებში გათვალისწინებულია ერთი და იგივე მინიჭების 24-ე და მე-10 პუნქტები, რომელთა შესაბამისად თუ ამ კანონებით დადგენილია ლიცენზიების გაყვებისა და სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებული წესი, აგრეთვე პასუხისმგებლობის განსხვავებული ფორმა ან/და ოდენობა, გამოიყენება ეს კანონები. აღნიშნული განპირობებულია ამ კანონებით რეგულირებადი სფეროების სპეციფიკურობით. მაგალითად, მაუწყებლობის სფეროში გაყვამადი კერძო და სათემო ლიცენზიების მოპოვება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით ხდება პროგრამირების ასპექტის საფუძველზე და არა აუქციონის წესით. შესაბამისად, მაუწყებლობის სფეროში აუქციონის ჩატარება გამოირიცხება.

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 144¹-ე მუხლი გასწორდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მუხლს დაერქვა: „მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ულიცენზიო საქმიანობა და რადიოსიხშირეებითა და ნუმერაციით უკანონო სარგებლობა“, ჯარიმის ოდენობა გაიზარდა 3000 ლარიდან 5000-მდე, ხოლო იგივე ქმედების განმეორებით ჩადენისათვის გათვალისწინებულია გაორმაგებული ჯარიმა.

წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის მიღების შემთხვევაში აღმოიფხვრება მოქმედ კანონმდებლობაში არსებული საკანონმდებლო კოლიზიები და ხარვეზები. იგი არ გამოიწვევს დამატებით ფინანსურ დანახარჯებს, სამაგიეროდ ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი მომზადებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ.

საკანონმდებლო აქტების პროექტების ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.